საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030143289172418

№ 01-1255/ო **12 / ოქტომბერი / 2018 წ.**

მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ა რ ა ს ა მ ხ ე დ რ ო, ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი უ ლ შ რ ო მ ი თ ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი გ ა წ ვ ე ვ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ო მ ი ს ი ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დებულების, მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულებისა და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით შესაბამისი სამსახურებისა და არასამხედრო შრომითი ფორმირებების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N391 დადგენილებით დამტკიცებული N2 დანართის (მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულება) მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო” ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) პაატა ჟორჟოლიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ) სოსო მამულაიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დ) ზაურ აბაშვილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) დავით ფერაძე - საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ზურაბ გარაყანიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ირმა ჩაფიძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, იურისტი, კომისიის წევრი;

თ) იოსებ ბარნაბიშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი/კომისიის მდივანი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 30 ნოემბრის №01-249/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო